ი/მ "გიორგი ჭივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი. 23იანვარი2019წ.

2019 წლის 22 იანვარს, ქ. თბილისში, ნინუას #3-ში (ს.კ. 01.12.12.001.160), შპს „ჯეო-ემ-ტექსის" საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, შპს "მოურავთან" 2019 წლის 16 იანვრას გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ნომერი 18-01180613542 წერილის საფუძველზე, ჩემს მიერ შესწავლილი იქნა 2 (ორი) ძირი ხის #9 ჩვეულებრივი იფანი (დიამეტრი 0.1მ- 38 სმ. სიმაღლე - 11მ) და #10 დიადი ბოყვის (დიამეტრი 0.1მ- 65 სმ. სიმაღლე - 13მ) გადარგვის შესაძლებლობა. მწვანე ნარგავების შეფასების ხარისხობრივი საექსპერტო დასკვნა გაკეთებულია ეროვნული ბოტანიკური ბაღის ექსპერტების ბ-ნი ჯუმბერ ლომინაძის და ქ-ნი სვეტლანა ხმალაძის მიერ. დასკვნის ნომერი: 02-22/423 27.10.2017 წ.

შესწავლილი ხე-მცენარეები წარმოადგენენ დიდ ტანოვან ხეებს (D>25სმ-ზე) და მათი გადარგვა შესაძლებელია მხოლოდ სპეცტექნიკის გამოყენებით და შესაბამისი აგრონომიული ღონისძიებების გათვალისწინებით. გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში, უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით.

გადარაგვის ინდივიდუალური ტექნიკური დოკუმენტაცია

(გადარგვის მეთოდოლოგია გამოყენებადია ორივე ხის შემთხვევაში)

ხე-მცენარის ამოღება:

1. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს განშტოებების გადაბელვა ან მისი გადაბელვა მთლიან ვარჯზე, მის ნაწილზე ძლიერი ტოტების შემოკლება ან მთლიანად მოშორება. გადაბელვის დროს გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ამწე-კალათა.
2. ხის ირგვლივ მიწის მოთხრა და კომის გამოყოფა ნიადაგიდან უნდა მოხდეს სპეცტექნიკის (ექსკავატორი ან სხვ.) საშუალებით. ხის ფიქსირება სპეცტექნიკის მუშაობისას და შემდეგ მისი ამოღება უნდა განხორციელდეს სპეციალური ამწე მოწყობილობებით, რადგან კომი დაცული იქნას მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისაგან, ჩაბმის ადგილზე ხეს უნდა შემოეხვიოს სქლად ჯვალოს ტილო.
3. ამოღებული ხის კომის ზომა უნდა განისაზღვროს ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ 4-5-მაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე არანაკლებ 1 -1,7 მ. - ის.
4. ხემცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს მისი კომის ფიქსირება იმ საშუალებებით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ხემცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პირობებში;
5. ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე; ღია ფესვთა სისტემა დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს ჯვალოს მატერიით, ან სპეციალური ბადით; მიწის გუნდას გარეთ გამოსული ფესვები საჭიროების შემთხვევაში უნდა შეიკვეცოს.
6. ამოღებული ხის ტრანსპორტირების შემთხვევაში ჯვალოში ან ბადეში შეფუთულ კომს უნდა გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩოები, ასაწყობი ყუთები, მავთულბადე, მეტალის სხვადასხვა კონსტრუქციები, სპეციალური დასაშლელი ვაზონები, ჭილობი, ბრეზენტი და ა.შ.);

7. მიწის კომის შეფუთვის შემდეგ ხის ღეროზე აკეთებენ სპეციალურ შალითას, რომელიც დამზადებული შეიძლება იყოს ქეჩის, ბრეზენტის ან ტყავისაგან. ასეთი შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამის დაცვა შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისაგან;

ხე-მცენარის გადარგვა:

1. გადასარგავ ადგილზე წინასწარ უნდა იქნას ამოღებული ორმო;
2. სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 - 0,9 მ. - ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ.-ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
3. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწეს (სპეცტექნიკის) გამოყენებით, ისე რომ ხის კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან;
4. ნარგავი უნდა დაირგოს შენობის გარე კედლიდან ან/და მშენებარე ობიექტის საძირკველთან მინიმუმ 3 მ დაშორებით.
5. ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
6. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით; თითოეულ ორმოში წინასწარ უნდა იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა).
7. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
8. ჩაირგოს ორმოში ისე, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და აიკრას საყრდენზე (ჭიგო, სარი, ხარდანი) ან გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან.
10. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
11. ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
12. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
13. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

ხე-მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა:

1. ხის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
2. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება-განახლება;
4. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;
5. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
6. დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
7. განსაკუთრებით ინტენსიური რწყვაა საჭირო მცენარეებზე ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს. ამიტომ ინტენსიური მორწყვა უნდა დაიწყოს მაისის თვიდან. თითოეული მცენარისათვის სარწყავი წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს.

8. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
9. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ - დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
10. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა-ფორმირების სამუშაოები. მოვლა-პატრონობის სამუშაოები უნდა ჩატარდეს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში.

ექსპერტი: გიორგი ტივაძე

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დენდროლოგიური პროექტი

ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი
ნინუას.ქ №3 (ს/კ 01.12.12.001.060)



თბილისი
2018წ

დამკვეთი:	შპს.ჯეო-ემ-ტექსი (ს/ნ 405111882)	
სტადია	შურცელი	
	01	

ფორმატი A-3	დაკვეთა №	ფაილის სახელი
		არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა

არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა
















საპროექტო ტერიტორიის მისამართი:	ქ. თბილისი, ნინუას.ქ №3 ს/კ 01.12.12.001.060	
სტადია	ფურცელი	
	02	

ფორმატი **A-3**	დაკვეთა №	ფაილის სახელი
		სიტუაციური გეგმა



მისამართი:	ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ №3 ს/კ 01.12.12.001.060	
პროექტი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	
მასშტაბი:	1:300	
სტადია:	ფურცელი	
	03	

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება ტოპოგეგმაზე

ფორმატი A-3	ფაილის სახელი:	მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება ტოპოგეგმაზე

x=482190.00
y=4621563.17
z=436.17
Pp-2

ე. ბექანიშვილის ქუჩა

x=482230.82
y=4621557.13
z=437.28

437.71

საპროექტო ტერიტორია

სერვიტუტი ფართობით: 662კვ.მ.

სერვიტუტი ფართობით: 1972კვ.მ.

სერვიტუტი ფართობით: 184კვ.მ.

x=482240.83
y=4621468.22
z=436.03
Pp-4

დამკვეთი:	შპს.ჯეო-ემ-ტექსი (ს/ნ 405111882)	
მისამართი:	ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ №3 (ს/კ 01.12.12.001.060)	
პროექტი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	
მასშტაბი:	1:200	
სტადია	ფურცელი	
	05	

გადასარგავი და მოსაჭრელი ხე-ნარგავები



ფორმატი **A-3**

ფაილის სახელი: მოსაჭრელი და გადასარგავი ხე-ნარგავების ნუსხა

ექსპლიკაცია:

- მოსაჭრელი ხე-მცენარეები
- გადასარგავი ხე-მცენარეები
- ხელუხლებელი ხე-მცენარეები

შენიშვნა:

- მოსაჭრელი ხე-მცენარეები წარმოდგენილია შემდეგი ნერგების სახით:
  N:8, N:17-თუია
  N:12-ცრუაკაცია/რობინია
  N:13-ფლეხი
  N:14-ჭერამი
  N:15-ვაზი
  (აქედან N:13,14,15 ხეხილოვანი-ჯიშოვანი მცენარეებია, რომელთა ღეროს დიამეტრი არ აღემატება 15სმ-ს)
- გადასარგავი ხე-მცენარეები:
  N:9-ნეკერჩხლისებრთა ოჯახი
  N:10-დიადი ბოყვი
  N:11-ხემძრალა
  N:16,18,19-ცრუაკაცია/რობინია
  N:20-თუია
- ხელუხლებელი ხე-მცენარეები:
  N:1,2,3,4,5,6,7 - მარადმწვანე კვიპაროსი.

Green Consulting group

მწვანე საკონსულტაციო ჯგუფი
ს/ნ 405260676

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
დირექტორი	შ.ჩხეიძე		
დენდროლოგი	ნ.ერაძე		
ლანდშაფტის არქიტექტორი	ს.ჭედია		

დამკვეთი:	შპს.ჯეო-ემ-ტექსი (ს/ნ 405111882)	
მისამართი:	ქ. თბილისი, ნინოწმიდის №3 (ს/კ 01.12.12.001.060)	
პროექტი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	
მასშტაბი:	1:150	
სტადია	ფურცელი	
	06	

მცენარეების თავდაპირველი და გადარგვის ადგილმდებარეობა



ფორმატი A-3	ფაილის სახელი:	მცენარეების თავდაპირველი და გადარგვის ადგილმდებარეობა

მცენარეთა პირობითი აღნიშვნები

	N:10 - დიადი ბოძვი
	N:9- ჩვეულებრივი იფანი
	N:20- თუთა
	N:11 - ხემძრალა
	N:16,18,19 - ცრუაკაცია\რობინია

ექსპლიკაცია:

- k3 კოეფიციენტი - 497.1მ²
- სამანქანო გზა
- სერვიტუტი ფართობით: 184კვ.მ.
- დეკორატიული ფილები
- გადასარგავი მცენარეების თავდაპირველი ადგილმდებარეობა.
- მოსაჭრელი მცენარეების ადგილმდებარეობა.

Green Consulting group	მწვანე საკონსულტაციო ჯგუფი ს/ნ 405260676

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
დირექტორი	შ.ჩხეიძე		
დენდროლოგი	ნ.ერაძე		
ლანდშაფტის არქიტექტორი	ს.ჯელია		


დამკვეთი:	შპს.ჯეო-ემ-ტექსი (ს/ნ 405111882)
მისამართი:	ქ. თბილისი, ნინოწმინდის №3 ს/კ 01.12.12.001.060
პროექტი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
მასშტაბი:	

სტადია	შუალედური	
	07	

გამწვანების გეგმა

გასაშენებელი მცენარეების ადგილი გენგეგმაზე

გენგეგმა



ჩ

ფორმატი **A-3**	ფაილის სახელი:	გასაშენებელი მცენარეების ადგილი გენგეგმაზე	

ხე-მცენარეთა პირობითი აღნიშვნები

	N:10 - დიადი ბოყვი
	ჩვეულებრივი იშანი ([N:9- გადარგული] [2ც საკომპენსაციო])
	N:20- თუთა
	N:11 - ხემჟრალა
	N:16,18,19 - ცრუაკაცია\რობინია
	ორმის რძა (საკომპენსაციო რგვა)
	იტალიური ფიჭვი (საკომპენსაციო რგვა)
	მინდვრის ნეკერჩხალი (საკომპენსაციო რგვა)
	იაპონური კვიდო (საკომპენსაციო რგვა)

ექსპლიკაცია:


	k3 კოეფიციენტი - 497.1მ²
	სამანქანო გზა
	სერვიტუტი ფართობით: 184კვ.მ.
	დეკორატიული ფილები

	მწვანე საკონსულტაციო ჯგუფი ს/ნ 405260676		
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
დირექტორი	შ.ჩხეიძე		
დენდროლოგი	ნ.ერაძე		
ლანდშაფტის არქიტექტორი	ს.ჭედია		

დამკვეთი:	შპს.ჯეო-ემ-ტექსი (ს/ნ 405111882)	
მისამართი:	ქ. თბილისი, ნინუას ქ. №3 ს/კ 01.12.12.001.060	
პროექტი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	
მასშტაბი:	1:500	
სტადია	შუალედი	
	08	

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

ე. ბეჭანიშვილის ქუჩა



ვ. ნინოშვილის ქუჩა

საპროექტო ტერიტორია

დამკვეთი: შპს "ჯეო-ემ-ტექს" (ს/ნ 405111882)

კ-3 კოეფიციენტი: 497.1მ2

მისამართი: ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ №3 (ს/კ: 01.12.12.001.160)

ნებართვის გამცემი ორგანო: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბარემოს დაცვის სააქალაქო სამსახური

ახლად დარგულ ხე-მცენარეების მოვლა პატრონობაზე პასუხისმგებლობას იღებს შპს მწვანე საკონსულტაციო ჯგუფი ს.ნ 405260676

ახლად დარგული ხე-მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა შეადგენს 3 წელს.



დასარგავი ხე-მცენარეების სახეობები:

ღეროს დიამეტრი 14 სმ. დან — ხნოვანება 5 - 10 წ — სიმაღლე 3-5.5 მდე

დიამეტრი არანაკლებ 80 სმ — სიმაღლე არანაკლებ 90 სმ

2ც ფიტალური ფიჭვი (pinus pinea)

3ც მინდვრის ნეკერჩხალი (pinus campestre)

2ც ჩვეულებრივი იფანი (Fraxinus excelsior)

1ც მირმის რქა (Lagerstroemia indica)

4ც იაპონური კვიდო (Ligustrum japonicum)



შპს “მოურავი”
LTD “MOURAVI”

24.01.2019 წ.

შპს „ჯეო-ემ-ტექსის“
დირექტორს რ. საღარაძეს
(ს.კ. 405111882)

თანხმობა მომსახურების გაწევაზე

მოგახსენებთ, რომ შპს „მოურავს“ ყავს დიდ ტანიანი ხე-ნარგავების გადარგვისთვის საჭირო შესაბამისი სპეცტექნიკა (იხ. იჯარის ხელშეკრულება N32 14.10.2018წ. შპს „სამრეწველო და ინდსერვისი“) და გააჩნია სამუშაო გამოცდილება, რათა აწარმოოს მსგავსი ხე-ნარგავების გადარგვითი სამუშაოები.

თქვენთან (შპს „ჯეო-ემ-ტექსის“) გაფორმებული ხელშეკრულების (ნარდობის ხელშეკრულება 21.01.2019 წ.), ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ნომერი 18-01180613542 წერილის და უფლებამოსილი პირის ინდ.მეწარმე გიორგი ტივაძის მიერ გადასარგავი ხე-მცენარეებისათვის ინდივიდუალურად შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე (იხ. ინდ.მეწარმე გიორგი ტივაძის საექსპერტო დასკვნა), შპს „მოურავი“ აძლევს წინასწარ თანხმობას შპს „ჯეო-ემ-ტექს“ (ს.კ. 405111882)-ს, რომ ის შეასრულებს 2 (ორი) ძირი დიდ ტანიანი ხე-მცენარის : ჩვეულებრივი იფანი (დიამეტრი 0.1მ- 38 სმ. სიმაღლე - 11მ) და დიადი ბოყვის (დიამეტრი 0.1მ- 65 სმ. სიმაღლე - 13მ) გადარგვის სამუშაოებს. სამუშაოები შესრულდება შპს „ჯეო-ემ-ტექსის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.12.12.001.160.

სამუშაოს შესრულებისას გამოყენებული იქნება შემდეგი სახის სპეცტექნიკა:

1. ექსკავატორი -KAT2012
2. ავტომანიპულატორი -DAF
3. ავტოკალათა - IVECO

დიდი ზომის ხეების გადარგვა მოხდება არასავეგეტაციო პერიოდში, ექსპერტის მიერ მითითებული აგრონომიული წესების და შრომითი უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. წ გადარგული ხე-მცენარეების პირველადი მორწყვა მოხდება ადგილზე არსებული წყლის ონკანის საშუალებით სპეციალური მილებით.

შპს „მოურავის“
დირექტორი: /დ. გუგენიშვილი/

შპს „მოურავი“ * GEORGIA * MOURAVI * LLC * 406228069
მოურავი MOURAVI

ს.კ. 406228069 ა/ა: GE33TB7674636080100011
მობ : +995 591 27 49 49 ელ.ფოსტა: greenproject.ge@gmail.com / supermouravi@gmail.com
იურიდიული მისამართი: ორხევი, ფიროსმანის 1გ. ფაქტიური: დადაიანის ქ. 100